ნოემბერი, 2023

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- ოქტომბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.2% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები ნარჩუნდება.
- ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლები იყო და 0.1% შეადგინა.
- ოქტომბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 13.3%-ით, ხოლო ხარჯები 25.4%-ით გაიზარდა.
- ოქტომბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 48.4 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მშენებლობისა და მრეწველობის დარგებში.
- იანვარ-ოქტომბერში* ექსპორტმა 12.5%-ით, ხოლო იმპორტმა 17.8%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 17,785 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- ოქტომბერში* ფულადმა გზავნილებმა 283.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 38.9%) და რუსეთი (21.8%) წარმოადგენდნენ.
- ნოემბერში მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 5,122 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 10.5%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით.
- ოქტომბერში*, წინა თვესთან მიმართებით, მცირედით გაიზარდა დეპოზიტებსა და სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.
- ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.6%-ით, ხოლო ევროს მიმართ 2.6%-ით გაუფასურდა.
- ნოემბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტებიდან აშშ დოლარის მიმართ, მხოლოდ ქართული ლარი გამყარდა, ხოლო დანარჩენმა ვალუტებმა გაუფასურება განიცადეს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



ოქტომბერში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 6.2%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის ოქტომბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.2% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები ნარჩუნდება.





ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 0.1%-ს შეადგენს.

წინა წლის ნოემბერთან მიმართებით, 2023 წლის ნოემბერში ინფლაციის დონე 0.1%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, საცხოვრებელზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე. ნოემბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, თამბაქოს ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 1.8%-ით განისაზღვრა. 2023 წლის ოქტომბერში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 1.0% შეადგინა.





ოქტომბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის ოქტომბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 13.3%-ით, ხოლო ხარჯები 25.4%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 287.2 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 170.0 მლნ ლარით განისაზღვრა.





ოქტომბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

წინა წლის ოქტომბერთან მიმართებით, 2023 წლის ოქტომბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 14.0%-ით მოიმატა და 48.4 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 14.5%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 13.5%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.0%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 20.6% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.9% - მშენებლობის, 18.7% - მრეწველობის, 13.1% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.3% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



იანვარ-ოქტომბერში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.

კერძოდ, ექსპორტმა 12.5%-ით, ხოლო იმპორტმა 17.8%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 16.2%-ით გაიზარდა და 17,785 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.7%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (882%-ით, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მატების გამო), აგრეთვე ყაზახეთში (240%-ით), სომხეთში (56%-ით), აზერბაიჯანში (32%-ით), რუსეთში (7%-ით).

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების (166%-ით), უალკოჰოლო სასმელების (41%-ით), სპირტიანი სასმელების (38%-ით), ელექტროენერგიის (23%-ით), მინერალური წყლის (24%-ით), ნატურალური ღვინის (8%-ით) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (68%-ით), სპილენძის მადნების (46%-ით), აზოტოვანი სასუქების (38%-ით) საზღვარგარეთ გატანა.





ოქტომბერში* ფულადი გზავნილები შემცირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის ოქტომბერში* საქართველოში ფულადი გზავნილები 43.6%-ით შემცირდა და 283.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 38.9%) და რუსეთი (21.8%) წარმოადგენენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა: ერაყიდან (420%-ით), იორდანიიდან (347%-ით), უნგრეთიდან (288%-ით), ყაზახეთიდან (98%-ით), ირლანდიიდან (71%-ით), აშშ-დან (39%-ით), გერმანიიდან (31%-ით), კანადიდან (23%-ით), ბელგიიდან (22%-ით) და სხვა. ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: რუსეთიდან (79%-ით), ყირგიზეთიდან (79%-ით, სომხეთიდან (70%-ით).



ნოემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 5,122 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის ნოემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,122 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.5%-ით, წინა თვესთან მიმართებით კი 0.06%-ით მეტია.

2023 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

ოქტომბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის ოქტომბერში* სარეზერვო ფულის მასა 4.6%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 33.1%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 15.5%-ს გაუტოლდა. ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.1% შეადგინა.





ოქტომბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე მცირედით გაიზარდა.

ოქტომბერში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.07%-ული პუნქტით გაიზარდა და 48.1%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.2%-ული პუნქტით მოიმატა და 45.0% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, ოქტომბრის თვეში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.1%-ით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 0.2%-ით გაიზარდა.





ოქტომბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.2%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.3%-ული პუნქტით გაიზარდა.

ოქტომბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.3% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 8.2%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) ოქტომბრის* მდგომარეობით 5.2% შეადგინა, 0.42%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის ოქტომბერთან შედარებით.
ნოემბერში რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი (10.0%) დარჩა.

ნოემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსმა როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ მცირედით გაუფასურების ტენდენცია გამოავლინა.

ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.6%-ით, ხოლო ევროს მიმართ 2.6%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 2.3%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ნოემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.8%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 4.8%-ით გაუფასურდა, თურქული ლირასთან მიმართებით კი 55.1%-ით გამყარდა.
აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

ნოემბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 62.0% შეადგინა. სომხეთში დეფლაცია (-0.5%) დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის ოქტომბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 3.9%-ით, ხოლო რუსეთში 6.7%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, ნოემბერი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
ნოემბერი, 2023



ნოემბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების გაუფასურების ტენდენციას ავლენს.
კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნოემბერში აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა ქართული ლარი (0.8%-ით), ხოლო გაუფასურდა თურქული ლირა (35.0%-ით), რუსული რუბლი (32.7%-ით), სომხური დრამი (1.5%-ით), აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		ნოე 22	დეკ 22	იან 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	9.3	11.0	8.4	5.8	7.3	7.5	7.0	7.7	5.5	5.8	5.1	6.2	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	16.7	16.6	18.8	11.7	9.2	6.1	5.2	6.1	2.9	4.2	3.0	6.0	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	10.4	9.8	9.4	8.1	5.3	2.7	1.5	0.6	0.3	0.9	0.7	0.8	0.1
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	10.5	10.5	10.5	10.25	10.00	10.00	10.00
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.5	0.5	0.4	0.4	0.5	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	2.7	2.7	2.7	2.6	2.6	2.5	2.5	2.6	2.6	2.6	2.6	2.7	2.7
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	521 164.6	535 251.1	444 964.0	372 328.3	438 392.2	369 709.2	384 885.8	353 170.7	301 068.1	287 005.6	283 878.0	283 006.1	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	490.7	555.8	459.0	455.8	546.7	500.5	541.4	550.4	529.8	495.8	528.0	494.9	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1 310.9	1 469.3	1 114.9	1 067.6	1 378.2	1 223.1	1 328.5	1 339.4	1 320.9	1 404.5	1 262.7	1 243.3	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-820.2	-913.5	-655.9	-611.9	-831.5	-722.6	-787.1	-788.9	-791.1	-908.7	-734.7	-748.4	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4 636.7	4 900.6	4 899.3	4 720.2	5 003.8	5 133.4	5 005.3	5 066.7	5 436.1	5 436.8	5 273.2	5 118.8	5 121.7
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1 898.4	2 151.6	1 858.0	1 555.1	1 656.6	2 165.0	1 755.9	1 877.8	1 846.9	1 721.5	1 821.2	1 913.4	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 561.6	2 090.5	1 357.0	1 422.1	1 450.0	1 496.7	1 568.9	1 441.2	1 901.2	1 269.0	1 496.1	1 626.2	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	600.3	1 054.5	185.9	313.1	317.4	414.1	400.6	495.8	365.4	659.1	616.0	468.6	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[1]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[1] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.